



თბილისის სააპელაციო სასამართლო
განჩინება
საქართველოს სახელით

საქმე №28/5878-14

29 სექტემბერი, 2014 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი
მოსამართლეები

ქეთევან მესხიშვილი
ნატალია ნაზლაიძე,
ნათა გუჯაბიძე

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი - შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „პ. პ.“

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის განჩინება სარჩელის აღმდეგ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საბივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების



ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის განჩინებით **ლ. მ.-ს** განცხადება სარჩელის აღმვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეჩერდა ნოტარიუს **ე. ჯ.-ს** მიერ 05.05.2014 წელს გაცემული №XXXXXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება დავის საბოლოო განხილვამდე (ს.ფ. 13-15).

აღნიშნულ განჩინებაზე 2014 წლის 11 აგვისტოს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ. კ.-ს“ დირექტორმა, **ვ. შ.-მ** საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა (ს.ფ. 20-22).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 სექტემბრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადმოეგზავნა (ს.ფ. 58-60).

მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის შესაბამისად არ დაკმაყოფილა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ. კ.-ს“ დირექტორის, **ვ. შ.-ს საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:**

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სარჩელის უზრუნველყოფის ის ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, რომლებიც ამავე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული არ არის, იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ასეთი განცხადება გადაუდებელ შემთხვევაში, შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღმვრამდეც. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გაამნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გაამნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით



სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესოსამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი – აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. უზრუნველყოფის ღონისძიებით უფლების დროებით შეზღუდვის დროს კი მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, არ აჩერებს აღსრულებას. ამდენად, მითითებული ნორმის როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად, ნათელია, რომ კანონი იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრების შესაძლებლობას უშვებს, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ პირის უფლება, სასამართლო წესით იდავოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დარღვეული უფლებისა, თუ ინტერესის აღსადგენად, იწვევს რეალური საპროცესოსამართლებრივი მექანიზმების ამუშავების საჭიროებას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო, მოთხოვნის იურიდიული მართებულობის პირობებში, არ შეაჩერებს სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება გაძნელდეს ან გადაწყვეტილება საერთოდ აღსრულებელი დარჩეს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის უფლება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ლეგიტიმურია და შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებაც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. პალატა, მიიჩნევს, რომ თუ არ შეჩერდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება, იმ სანოტარო აქტისა თუ მოქმედების ლეგიტიმურობაზე მსჯელობას, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, აზრი ეკარგება. შესაბამისად, აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სწორედაც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებს ემსახურება.

განსახილველ შემთხვევაში, მომავალ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ნოტარიუსის, ქ. ჯ.-ს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ. კ.-ს“ წინაშე ლ. მ.-ს ფულადი ვალდებულების 7000 აშშ დოლარით შემცირება. პალატა ყურადღებას ამახვილებს შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ. კ.-ს“ საჩივრის საფუძვლებზე, კერძოდ, საჩივრის ავტორის განმარტებით, სააღსრულებო ფურცელი გაცემულია მხოლოდ ძირითადი თანხის, პროცენტის და 06.05.2014 წლიდან (სააღსრულებო ფურცლის გაცემის მეორე დღიდან) აღსრულებამდე პირგასამტეხლოს - 19.56 აშშ დოლარის მოთხოვნით. ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ყოველდღიურად ვადაგადაცილებული თანხის



0.5 %, რასაც კრედიტორი არ არიცხავს და მოთხოვნა არ აქვს დაყენებული. აღნიშნულთან დაკავშირებით **პალატა** განმარტავს, რომ საჩივრის საფუძვლად მითითებული გარემოებები, თავისი არსით, შესაგებლის საფუძვლებს წარმოადგენს და არა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის წინაპირობებს, შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. მითითებული მოტივები კი სარჩელზე არსებითად მსჯელობის საგანი იქნება სასარჩელო სამართალწარმოების ეტაპზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ სასამართლომ ამ კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გააუქმა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ. კ.-ს“ დირექტორის, ვ. შ.-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის განჩინებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.

დადგინა

1. შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კ. კ.-ს“ დირექტორის, ვ. შ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 ივლისის განჩინება სარჩელის აღმდეგ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეებიი

ნატალია ნაზლაიძე

ნათია გუჯაბიძე